



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
საქართველოს ეროვნული არქივი



KA011960008745520

01 / მარტი / 2021 წ.

№ 52ას

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### ახალი კორონავირუსით გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში დაშვების წესი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №246 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული არქივის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში დაგეგმილი ღონისძიებების წარმართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის N19ძს ბრძანების შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში დასაქმებული პირებისა და მკვლევრების მიმართ გავრცელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/თ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N36 "ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის".

2. ახალი კორონავირუსით გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, მკვლევართა დარბაზში გავრცელდეს შემდეგი წესები:

ა) პირი მკვლევართა დარბაზში დაიშვება მხოლოდ წინასწარი დაჯავშნის პრინციპით;

ბ) ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სამუშაო დროს 09:00-18:00 სთ., ტელეფონის ნომერზე: +995 32 2373913;

გ) ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ჯავშნის განხორციელების დღიდან 5 სამუშაო დღის ხანგრძლივობით;

დ) ჯავშანზე მითითებული დროიდან ერთი საათის განმავლობაში მკვლევრის დარბაზში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ჯავშანი ჩაითვლება ძალადაკაგულად;

ე) საქართველოს ეროვნული არქივის შენობაში (შემდეგში - შენობა) შესვლამდე პირმა უნდა გაიაროს თერმოსკრინინგი, ისარგებლოს დეზობარიერიტა და ხელის სადებიინფექციო ხსნარით;

ვ) შენობაში არ დაიშვება პირი, რომელიც ვერ გაივლის თერმოსკრინინგს ან აღენიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები;

ზ) შენობაში პირი დაიშვება მხოლოდ პირბადით. შენობაში ყოფნისას პირბადის მოხსნა დაუშვებელია.


3. ახალი კორონავირუსით გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების რისკების შესამცირებლად:

ა) ორმეტრიანი დისტანციის დაცვის გათვალისწინებით, დარბაზში მკვლევართა დაშვება განხორციელდება შეზღუდული რაოდენობით;

ბ) მკვლევრის მიერ დაბრუნებული საარქივო დოკუმენტი 3 დღის ვადით განთავსდება საკარანტინოდ გამოყოფილ სპეციალურ სივრცეში და მხოლოდ შემდეგ გაიცემა სხვა მკვლევარზე ან დაბრუნდება საცავში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

თეონა იაშვილი